

## ამირან ბასილაშვილი

### არცოდნა თუ კორექტურული შეცდომა

(„იესო ტკბილის დაუჯდომელში“ დადასტურებული ერთი უზუსტობის გამო\*)

ლოცვა რომ ადამიანის სულიერი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია, ეს, ბუნებრივია (და განხილვა არ სჭირდება). შესაბამისად, ლოცვითი მსახურების სწორად წარმართვა უადრესად მნიშვნელოვანია. აღსანიშნავია ისიც, რომ განსაკუთრებულად საპასუხისმგებლო საქმეს წარმოადგენს ლოცვათა კრებულების პუბლიკაცია.

ჩვენამდე მოღწეულია მრავალი – ქართველთა მიერ შექმნილი ნათარგმნი თუ ორიგინალური ლოცვითი მასალა. ეს სიმდიდრე ხელნაწერებშია გაბნეული. ჩვენი წინაპრების სულიერი შემოქმედების, დაუღალავი მთარგმნელობითი და ფილოლოგიური მუშაობის გათვალისწინებით ერთთავად იზრდება იმ ადამიანთა პასუხისმგებლობა, ვისაც ლოცვითი ტექსტების დამუშავება-გამოცემაზე უწევს მუშაობა.

„ლოცვათა“ თანამედროვე გამოცემების ანალიზმა მეტად სავალალო მდგომარეობა აჩვენა – უგულებელყოფილია ენობრივი ნორმები, დარღვეულია პუნქტუაცია, საბოლოო ჯამში კი ლოცვის შინაარსიც გაუგებარია, ზოგჯერ უფრო მეტიც – ტექსტი შეიცავს აზრობრივ წინააღმდეგობებს [ჭელიძე 2007: 495]. მიუხედავად იმისა, რომ გამოიცა „ლოცვანისა“ და „დაუჯდომლის“ რამდენიმე ტექსტოლოგიურად გამართული ტექსტი, როგორც ჩანს, ეს მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ პრაქტიკაში – ლოცვითი მსახურების აღსრულებისას – სრულად აღმოიფხვრას ტექსტობრივი შეცდომები. ამას ხელს უშლის ისიც, რომ ასეთი გამოცემები ტაძრებსა და საეკლესიო მაღაზიებში იყიდება.

ამჟამად ჩვენი მიზანია, ყურადღება გავამახვილოთ ერთ ცდომილებაზე, რომელიც „იესო ტკბილის დაუჯდომელში“ („დაუჯდო-

---

\* ამავე საკითხს ეძღვნება როზა დევედარიანის სტატია „რომის“ განმარტებისათვის“.

მელი საგალობლების კრებული“, გამომცემლობა „ალილო“, თბილისი, 2011 წ.) შევნიშნეთ\*.

„იესო ტკბილის დაუჯდომლის“ მე-12 იკოსის ერთ-ერთი მუხლი ასე იკითხება: „იესო, მარგალიტო **რიოში**, განმაშვენე მე“. „რიოში“ სულხან-საბა ორბელიანის მიერ ასეა განმარტებული: „**შერყვნილი**“ ZAB, „**არაწმიდა** (+ [გინა **ყალბი**]“ Ca) CD. „რიოში“ „სიტყვის კონაში“ სხვა სიტყვათა განმარტების დროსაც გვხვდება: **მრღვე** „ილევრო გაუწმედელი, გინა გამოუცდელი, რომელ არს **რიოში**“ ZA, „გამოუცდელი, გინა გაუწმედელი ილევრო, **რიოში**“ B; **ყალბი** „სხვათა ენაა, ქართულად **რიოში** ჰქვიან“. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით „**რიოში**“ არის: „**ყალბი, არანამდვილი, შერყვნილი**“. „რიოში“ დასტურდება აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებშიც: „**უწმინდური, უსუფთაო**“, „მკითხავები ქალს რიოშიანს უწოდებენ, ე. ი. **უწმინდურს**“ (ხევსურული), „**უწმინდური, ბინძური**“ (ფშაური).

ზემოთ აღნიშნული განმარტებების თანახმად, ჩვენ მიერ წარმოდგენილი დაუჯდომლის მოცემული მონაკვეთისათვის ყოველად შეუფერებელია სიტყვა „რიოში“.

საინტერესოა, როგორ მოხვდა ეს სიტყვა „დაუჯდომელში“. ჩვენთვის უცნობია, ეფუძნება თუ არა აღნიშნული „დაუჯდომლის“ პუბლიკაცია რომელიმე მანამდე არსებულ გამოცემას ან ხელნაწერს. თუ ტექსტი შედარებით გვიანდელი შემოქმედების პროდუქტია. ასეთ შემთხვევაში მასში დაშვებული შეცდომა, ცალსახად, მთარგმნელის უცოდინარობის ნაყოფია. მაგრამ დაისმის კიდევ ერთი კითხვა – კორექტურული შეცდომა ხომ არ არის? შესაძლებელია, „დაუჯდომლის“ აღნიშნულ გამოცემას საფუძვლად დაედო მანამდე არსებული რომელიმე პუბლიკაცია ან ხელნაწერი, რომელშიც „**რიოშის**“ ნაცვლად „**ურიოშო**“ ეწერა. ასეთი დაშვება სრულიად ბუნებრივია და არც რამე აზრობრივ წინააღმდეგობას შეიცავს\*\*.

---

\* კრებული განმეორებით გამოიცა 2012 წელსაც. შეცდომა მეორდება იმავე გამომცემლობის მიერ 2011 წელს ცალკე გამოცემულ „იესო ტკბილის დაუჯდომელშიც“.

\*\* შდრ. „დაუჯდომლის“ იმავე მუხლის ინგლისური თარგმანი: “Jesus, Pearl of great price, beam on me!” ([http://www.orthodox.cn/liturgical/akathist/akathistlordjesus\\_en.htm](http://www.orthodox.cn/liturgical/akathist/akathistlordjesus_en.htm)).

„**ურიოშო**“ სულხან-საბა ორბელიანის განმარტების თანახმად, არის: „**შეუმრღვეველი**“. დიდი ლექსიკოგრაფი განმარტავს რა სიტყვას „**წმიდა**“, ამბობს: „**წმიდა** ითქმის მხოლოსა ღმერთსა ზედა და რომელნი ღმერთმან წმიდა-ყვნა მსახურნი და სათნო-მყოფელნი მისნი... ხოლო შეუმრღვეველთა ღვინოსა, წყალსა, ზეთსა და ეგვიპტართა არა ვიტყვით წმიდად, არამედ **დაწმედილად** და **კამკამად** და **მორავაყუნად**; ხოლო კაცთა მბანებელთა და სამოსელ-განრცხილთა და ჭურჭელთაცა განრცხილთა ვიტყვით სუფთად... ოქროთა და ილეკროთა **ოფაზად** (ოფაზთა ZAA), **ურიოშოდ**, **გამოცდილად** ვიტყვით“. ქეგლი „ურიოშოს“ ასე განმარტავს: „რასაც შენარევები არა აქვს, – გაწმენდილი, წმინდა, ხალასი“. „ქართულ სინონიმთა ლექსიკონში“ **ურიოშო** წარმოდგენილია **სუფთას** სინონიმად (შდრ. იმავე სიტყვის სხვა სინონიმებიც: წმინდა, სპეტაკი, კრიალა, ანკარა, შეურეველი...).

საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ მაგალითებს ქართული მწერლობის ძეგლებიდან:

„მოინდომო, ოქრო იყო **ურიოშო**, ფეროვანი“ [ვახტანგ მეექვსე 1975].

„ჩუენს **რიოშობას** გამოსცნობს, **სიწმიდეს** იცნობს წამითა“ [ქილილა... 1975];

„მისის **რიოშის** საქმისაგან გამრიდა და ცუდი მიზეზი მოიღვა“ [ქილილა... 1975];

„სიმართლეში **რიოში** არა ურევია რა“ [ქილილა... 1975];

„კეთილის სიტყვის ქიმია **რიოშსა** პილენძსა ოფაზის ოქროდ შესცვლისო“ [ქილილა... 1975].

„პალატისა მის კედელნი ყოველნივე იყვნეს **ურიოშოსა** ოქროსა და ვერცხლისაგან“ [ლარაძე 1903];

„არა იყო მუნ ჭურჭელი არა რაფსამე, თვინიერ თვალთა თლილთა და ოქროსა **ურიოშოსა**“ [ლარაძე 1903];

„საშუალ მათ ძეგლთა დაედგა ძეგლი მყარისაგან ოქროსა **ურიოშოსა**“ [ლარაძე 1903];

„ერთი შვიდეული საკიდარი ტვირთი **ურიოშოსა** ოქროსი შევსძღვენ“ [ლარაძე 1903];

„მოაღებინა მეღნად **ურიოშოსა** ოქროდსა ოფაზი, მრავლთა სუნნელებითა შეზავებული“ [ლარაძე 1903].

იგივე ძირი გვხვდება **სა-ო** ცირკუმფიქსიან ფორმებშიც: **სარი-ოში** „წყლის დიდი ჯამი, წედათა გასარცხელი“ ZA, „სარიოში სირჩაა, რომელში ორმოცი თუხტი ჩავიდეს“ CD (საბა); **სარიოში** „საპირფარეშო (ჯვართ ენაზე) (ხევსურული), **სარიოში** – „ღვინის მრგვალი სასმისი ხისა, ფეხიანი“ (ზემოიმერული).

ჩვენ გადავამოწმეთ „დაუჯდომლის“ სხვა გამოცემებიც („დაუჯდომელი უფლისა ჩვენისა იესო ტკბილისა“: გაზეთ „კანდელის“ ბიბლიოთეკა, თბ., 2013 წ.; ჟ. „კარიბჭის“ გამოცემა, თბ., 2014 წ.; გამოცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2014 წ.). საანალიზოდ აღებული მუხლი ამ გამოცემებში არ აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ამოიღეს გამომცემლებმა, ალბათ სწორედ ზემოაღნიშნული მიზეზის გამო.

## ლიტერატურა

**ვახტანგ მეექვსე 1975** – ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, თბილისი.

**დევედარიანი 2016** – რ. დევედარიანი, „როიშის“ განმარტებისათვის, კრ. რელიგია, № 2, თბილისი.

**ლარამე 1903** – პ. ლარამე, დილარიანი, თბილისი.

**ნეიმანი 1978** – ა. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბილისი.

**საბა 1991** – ს. ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბილისი.

**საბა 1993** – ს. ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, თბილისი.

**სპეკალი 2007** – სპეკალი მართლმადიდებლობისა, კრებულში წარმოდგენილი ძეგლები გამოსაცემად მოამზადა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, თბილისი.

**ქეგლი 1962** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VII, თბილისი.

**ქილილა... 1975** – ქილილა და დამანა, სპარსულიდან თარგმნილი მეფე ვახტანგ მეექვსისა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ; ტექსტი დაადგინა, შესავალი, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო მ. თოდუამ, თბილისი.

**წერეთელი 1938** – ბ. წერეთელი, ზემოიმერული ლექსიკონი, კრებულში: „ქართველურ ენათა ლექსიკა“ (გურული, ზემოიმერული და ლეჩხუმური ლექსიკონები), თბილისი.

**ჭინჭარაული 2005** – ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბილისი.

**ხორნაული 2000** – გ. ხორნაული, ფშაური ლექსიკონი, თბილისი.

Amiran Basilashvili

### **Nesciense or Spelling Error**

(An Inaccuracy in “the Akathist to Our Sweetest Lord Jesus Christ”)

#### Summary

The present paper discusses an inaccuracy which is noted in the akathist hymn to Jesus Christ. To illustrate the inaccuracy, lexicographic data and samples from Georgian literary monuments are presented.